სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხაბალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	82	100

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნინო ხაბალაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:</u> **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

		მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	ნინო ხაბალაშვილის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ნინო ხაბალაშვილს, შესაფასებელ პერიოდში, უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ერთი ფაქტი. დაკისრებული სანქცია (ჯარიმა) გადახდილია დროულად. ნინო ხაბალაშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის, კეთილსინდისიერებაზე, წესიერებაზე, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებაზე როგორც სამსახურებრივ, ისე პირად საკითხებში და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებზე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ „ძალიან კარგად“. იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს (საკრედიტო ვალდებულებები არ გააჩნია). მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის ნემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის

		ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური და სხვა ნიშნით მიუკერძოებელი, სამართლიანი, პრინციპულია. მათივე აზრით, ნინო ხაბალაშვილს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ცდილობს არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხაბალაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ასევე, სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ მიუღია.

		რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავმდაბალი, კორექტული, გულისხმიერი და დინჯი პიროვნება. მიაჩნიათ, რომ ის კარგად მართავს საკუთარ ემოციებს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ უჭირდა საკუთარი ემოციების მართვა. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად სტაბილურია, შეუძლია ნებისყოფის მოკრება და თავდაჭერა. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ მხოლოდ დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით. ნინო ხაბალაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში საყურადღებო ინფორმაცია არ იძებნება. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. იმის გათვალისწინებით, რომ მას სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია და ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, ნინო ხაბალაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება, გარდა გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებისა, ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივი ხასიათის ნაშრომებს (სტატიებს). ნინო ხაბალაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი: • მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/15 • რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 9. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სამართალში ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდირებულია ყურადღება გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. სამოქალაქო სამართალში მუშაობისას შესაფასებელი პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია, განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადაო და უდაო ფაქტობრივი გარემოებები. ძირითადად მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში. მოსაზრებებს

			აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა, ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას. სისხლის სამართალი - ვინაიდან სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია სჭირდება გარკვეული მითითება, თუნცა მითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას ნინო ხაბალაშვილმა გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის დამაკმაყოფილებელი დონე. გასაუბრებისას კანდიდატმა არასრული ან უზუსტო პასუხები გასცა საერთაშორისო, საკონსტიტუციო და სამოქალაქო სამართლის სფეროებიდან დასმულ რამოდენიმე შეკითხვას. გაუჭირდა პასუხის გაცემა ერთ სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ კითხვაზეც. საბოლოოდ მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა სამართლის სხვადასხვა სფეროში შეიძლება შეფასდეს როგორც დამაკმაყოფილებელი. აღნიშნული დასტურდება გასაუბრების პროცესში დასმულ კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს სამართლებრივ ბასიათის დოკუმენტები არ წარმოუდგენია და მოცემული მახასიათებლით მისი შეფასებისას ვითვალისწინებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ზემოხსენებულ შეფასებას. საჯარო მოსმენის გათვალისწინებით კანდიდატმა სრულყოფილად ვერ შეძლო არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად განევითარებინა სამართლებრივი

			მსჯელობა ცალკეულ საკითხებზე. საჯარო მოსმენისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატს ზოგადად შეუძლია, გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით. თუმცა, მიმაჩნია, რომ საჯარო მოსმენის პროცესში გაუჭირდა საკუთარი ცოდნის სათანადოდ წარმოჩენა.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. ნინო ხაბალაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების გაცნობის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა ლოგიკურად და გრანატიკულად გამართულია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ცხადად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს აზრით, მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს აზრით, ნინო ხაბალაშვილი მეტწილად ლაკონიურად გადმოსცემს აზრს, თუმცა ზოგჯერ მისი ზეპირი ფორმით მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. რეკომენდირებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი მეტყველებს გამართულად, ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მიმაჩნია, რომ მას აქვს

			განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებლობის უნარი.
პროფესიული თვისებები	13	15	ძირითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი შრომისმოყვარე და პუნქტუალურია, პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს. მიაჩნიათ, რომ შრომისმოყვარეა და ახასიათებს ყველა სირთულისა და მოცულობის სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნული კანდიდატის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხაბალაშვილი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი ნაშრომები (სტატიები). აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ნინო ხაბალაშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი 2015-2016 წლებში, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ გავლილი აქვს ინტენსიური პროფესიული მომზადების კურსი. მიმაჩნია, რომ ნინო ხაბალაშვილი მზადაა მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი

			ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.
პროფესიული აქტივობა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. გარდა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდისა, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, აგრეთვე, მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი. კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს რამოდენმე სტატია. კანდიდატი ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.
ქულათა ჯამი	82	100	

თარიღი : 17.09.2024

ლევან მურუსიძე